www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 17 ოქტომბერი, 2013 წელი. | №3387 (194) | ფასი 50 თეთრი

გიგი უგულავა: სასამართლო პროცესი „სანტა-ბარბარასავით„ გრძელდება

თბილისის საქალაქო სასამართლოში თბილისის მერის გიგი უგულავას და თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც რიყის ტერიტორიისა და „ტელეიმედის“ გასხვისებას ეხება, სასამართლო პროცესი გაიმართა.

გუშინდელ პროცესზე ოთხი მოწმე დაიკითხა; ფინანსთა ყოფილი მინისტრი ნიკა გილაური, მერიის რიყის გასხვისების კომისიის წევრები სულხან სისაური და ნიკოლოზ ჩხეიძე, დედაქალაქის მერის მოქმედი მოადგილე პაპუნა პეტრიაშვილი.

გიგი უგულავას ადვოკატ გიორგი ჩივიაშვილის განცხადებით, არსებით განხილვაზე პროკურატურის მიერ წარმოდგენილმა ოთხივე მოწმემ დაადასტურა, რომ არანაირ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია.

„ოთხივემ დაადასტურა, რომ რიყის ტერიტორია კანონიერად გასხვისდა, არ ყოფილა არანაირი უკანონობა; შესაბამისად, მოწმეები, რომლებიც პროკურატურას მოჰყავს, არაფერს აძლევს მათ საიმისოდ, რომ რამე დანაშაულზე იყოს საუბარი. ეს ადამიანები ადასტურებენ, რომ არანაირ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია,“ - განაცხადა გიორგი ჩივიაშვილმა.

აღნიშნულ საქმეზე ნიკა გილაური ფინანსთა მინისტრობის პერიოდში დედაქალაქის ბიუჯეტისთვის თანხის გამოყოფის საკითხზე დაიკითხა. გილაურს პროკურორებმა შეკითხვები გასხვისებული რიყის ტერიტორიის გამოხსნის ეპიზოდის შესახებ დაუსვეს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

„კრიმინალური სამყაროს მცდელობა, ჩამოშალოს სახელმწიფოს ფუნდამენტი“

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სასჯელაღსრულების მე-17 დაწესებულების ყოფილი დირექტორის ლაშა ბრეგვაძის ცემის ფაქტზე სამი პირი დააკავა.

შსს-ს ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს და საქმის დეტალებს ჯერჯერობით ვერ გაასაჯაროებენ.

ბრეგვაძე სასჯელაღსრულების მე-17 დაწესებულებას იმ დროს ხელმძღვანელობდა, როდესაც ბაჩო ახალაია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი იყო.

ცნობისათვის - 15 ოქტომბერს სოციალურ ქსელში ფოტო გავრცელდა, რომელზეც ნაცემი ლაშა ბრეგვაძეა აღბეჭდილი.

თავდაცვის და შს ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას მეუღლემ ანი ნადარეიშვილმა „ფეისბუქში“ დაწერა, რომ ქურდებთან მებრძოლებზე ნადირობა გრძელდება. ნადარეიშვილის ინფორმაციით, ბრეგვაძეს გამტაცებლები აიძულებდნენ, ბაჩო ახალაიასთვის შეეგინებინა. ამასთან, ახალაიას მეუღლე წერს, რომ ნაცემ ლაშა ბრეგვაძეს გამტაცებლებმა ფოტოები გადაუღეს და ცნობილ კრიმინალურ ავტორიტეტს გაუგზავნეს.

„ციხის ყოფილი დირექტორი ლაშა ბრეგვაძე გაიტაცეს კრიმინალებმა, სასიკვდილოდ სცემეს და ეუბნებოდნენ, რომ შეეგინებინა ბაჩოსთვის. გადაუღეს ფოტოები და ვიდეო და მისივე თვალწინ გაუგზავნეს ერთ-ერთ ცნობილ კრიმინალურ ავტორიტეტს. ასევე უთხრეს, რომ კანონიერი ქურდების უპატივცემულობას სისხლად ამოანთხევინებდნენ ყველას, მათ შორის ბაჩოსაც.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

აშშ-ს კონგრესში ბიუჯეტზე შეთანხმდნენ

ივა შილაკაძე

აშშ-ს სენატში დემოკრატებმა და რესპუბლიკელებმა შეთანხმებას მიაღწიეს, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, დეფოლტი თავიდან აიცილონ და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაობა სრულფასოვნად განაახლონ. დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერმა სენატში ჰარი რიდმა განაცხადა, რომ ახალმიღწეული შეთანხმება გულისხმობს მთავრობის დაფინანსებას 2014 წლის 15 იანვრამდე და სახელმწიფო ვალის ზედა ზღვრის აწევას 7 თებერვლამდე.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ჰარი რიდი და მიტჩ მაკკონელი

ირანი სანქციების მოხსნას ითხოვს და თანამშრომლობის პირობას დებს

ივა შილაკაძე

ჟენევაში გუშინ ირანსა და საერთაშორისო შუამავალთა „ექვსეულს“ (აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საფრანგეთი, ჩინეთი) შორის ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებების ორდღიანი რაუნდი დამთავრდა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

17-წლამდელთა 18-კაციანი განაცხადი - დღეს შესარჩევი იწყება

საქართველოს 17-წლამდე ნაკრები დღეს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევის პირველ მატჩს სან მარინოთი იწყებს. ამასთან დღევანდელი შეხვედრა ნოდარ აკობიას გუნდისთვის, უეფას ეგიდით გამართულ ოფიციალურ ტურნირებში სადებიუტო იქნება.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

12 არც ისე განრისხებული კონკურსანტი

ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა“ 23 ოქტომბერს გაიმართება

ია ვეკუა

12 კონკურსანტი, ჟიურის ექვსი წევრი და ერთიც თემა - ასე გამოიყურება წლევანდელი „შემოდგომის ლეგენდის“ რეცეპტი, როლის გაზიარების საშუალებაც მის მონაწილეებს 23 ოქტომბერს ექნებათ. სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი სწორედ ამ დღესაა ჩანიშნული, გამარჯვებულებს კი მოგვიანებით დაასახელებენ.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

საქართველომ ვილნიუსის სამიტზე დასასწრებად ოფიციალური მიწვევა მიიღო

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებს ვილნიუსის სამიტზე დასასწრებად მოსაწვევები 15 ოქტომბერს ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროში გადაეცათ. მათივე განმარტებით, საქართველოს სახელით შესაბამისი მიწვევა ლიტვაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ხათუნა სალუქვაძეს გადასცეს.

„მოსაწვევები „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ექვსი ქვეყნის - საქართველოს, სომხეთის, მოლდოვას, უკრაინის და ბელარუსის ელჩებს ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ანდრიუს კრივასმა გადასცა. მოსაწვევებს ხელს აწერს ლიტვის პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტე, ევროკავშირის პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი და ევროკომისიის თავმჯდომარე ხოსე მანუელ ბაროზუ. ანდრიუს კრივასის მიერ გადაცემულ მოსაწვევებში აღნიშნულია, რომ ლიტვა, როგორც ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს „აღმოსავლეთ პარტნიორობას“. ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გამოთქვა რწმენა, რომ ვილნიუსის სამიტი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ევროკავშირის დიალოგის და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ თითოეულ ქვეყანასთან თანამშრომლობის გაღრმავების თვალსაზრისით. მან ასევე აღნიშნა, რომ სამიტის შედეგები პარტნიორ ქვეყნებს ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური თანხვედრის მიღწევაში დაეხმარება,“ - აცხადებენ უწყებაში.

ვილნიუსში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგით მესამე სამიტი მიმდინარე წლის 28-29 ნოემბერს გაიმართება.

კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი დარწმუნებულია, რომ ვილნიუსის სამიტზე, როგორც ქვეყნის პირველი პირი, თავად გაემგზავრება. როგორც აღნიშნულ საკითხზე კომენტირებისას მარგველაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, საკითხს, თუ ვინ იქნება წარმოდგენილი საქართველოს პრეზიდენტის სახით ვილნიუსის სამიტზე, მათემატიკური გაანგარიშება არ სჭირდება.

„დარწმუნებული ვარ, რომ 27 ოქტომბერს მე მოვიგებ არჩევნებს. შესაბამისად, დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ არსებული პრეზიდენტი 17 ნოემბრამდე შეიცვლება, რადგან ინაუგურაცია 17 ნოემბრამდე მოხდება. შესაბამისად, ვილნიუსის სამიტისთვის მათემატიკური გაანგარიშებები არ არის საჭირო. ბუნებრივია, სამიტზე წავა იმ დროისთვის მოქმედი და ახალი პრეზიდენტი,“ - განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ვილნიუსში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგით მესამე სამიტი მიმდინარე წლის 28-29 ნოემბერს გაიმართება.

ქართველი მუსიკოსები სანკტ-პეტერბურგში გალა კონცერტებს გამართავენ

სანკტ-პეტერბურგის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 16-17 ოქტომბერს, პროექტის „ბრილიანტები საქართველოდან“ ფარგლებში, ქართველი მუსიკოსების გალა კონცერტები გაიმართება. ინფორმაცია და შესაბამისი აფიშა რუსულ საიტზე muztorg.ru-ზე გავრცელდა.

აფიშაზე მითითებულია, რომ ორდღიან გალა კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ: ნანი ბრეგვაძე, ნიკოლოზ რაჭველი, ეკა მამალაძე, ნატალია ქუთათელაძე, ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, მზია ნიორაძე, მიხეილ კოლელიშვილი, თემურ ყვითელაშვილი, დათო ევგენიძე და ჯიმი ასკანელი.

16 ოქტომბერს დაგეგმილ კონცერს ნიკოლოზ რაჭველი უდირიჟორებს. 17 ოქტომბერს კი კომპოზიტორ გია ყანჩელის შემოქმედებითი საღამო გაიმართება.

კონცერტებს პრიმა-ბალერინა ირმა ნიორაძე წაიყვანს.

ირაკლი ალასანია - საომარი მოქმედებების შემსწავლელი კომისიის მუშაობის შედეგები წელს ცნობილი ვერ გახდება

საომარი მოქმედებების შემსწავლელი კომისიის მუშაობის შედეგები მიმდინარე წელს ცნობილი ვერ გახდება, - ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა. მისი თქმით, კომისია დიდი ტემპით მუშაობს, თუმცა პირველი ეტაპისთვის კიდევ რამდენიმე თვეა საჭირო.

„შეიარაღებულ ძალებში შექმნილი კომისია საკმაოდ დიდი ტემპით მუშაობს. დაახლოებით, 600-ზე მეტი ინტერვიუ და გამოკითხვა ჩატარებულია, მაგრამ არანაირად არ შედის ამ კომისიის გეგმებში, რომ ინფორმაცია უახლოეს პერიოდში გამომჟღავნდეს, რადგან ამას უფრო ღრმა ანალიზი სჭირდება. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რადგან ეს ვიღაცამ არჩევნებს დაუკავშირა, რომ ეს არის არა პოლიტიკური, არამედ სამხედრო, ტაქტიკური და ოპერატიული შეფასება, რომელიც მხოლოდ ჩვენი ჯარის სამომავლო სტრატეგიის გაუმჯობესებას ემსახურება,“ - განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, კომისიას მუშაობისთვის კიდევ რამდენიმე თვე სჭირდება. როგორც მინისტრი აღნიშნავს, კომისია სწავლობს არა მარტო 2008 წლის ომის მოვლენებს, არამედ 90-იან წლებში განხორციელებულ საომარ მოქმედებებსაც.

„კომისია ანგარიშის პირველ ეტაპს თავდაცვის უწყებაში წარადგენს. რაღაც ნაწილი (არასაიდუმლო) საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იქნება, რათა ექსპერტებს სწორი ანალიზის გაკეთების საშუალება ჰქონდეთ,“ - განაცხადა მინისტრმა.

ამასთან, ალასანიამ უარყო ინფორმაცია, თითქოს აღნიშნული კომისია ასევე სწავლობს მიხეილ სააკაშვილის ბრალეულობას იმის გამო, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ჰაიდი ტალიავინს არასანორი ინფორმაცია მიაწოდა.

ბაჩო ახალაია: კრიმინალური სამყაროს მცდელობა, ჩამოშალოს სახელმწიფოს ფუნდამენტი

პირველი გვერდიდან

დეტალებს ვადგენ და დამატებით ინფორმაციას მოგვიანებით დავდებ.

შეგახსენებთ, რომ ეს უკვე მეორე ფაქტია. პირველი, როგორც გახსოვთ, ორი თვის წინ დავით ჩხიტუნიძეზე თავდასხმა იყო, რასაც ბაჩოს მწვავე განცხადება მოყვა,“ - წერს ნადარეიშვილი.

სასჯელაღსრულების მე-17 დაწესებულების ყოფილი დირექტორის ცემის ფაქტს ბაჩო ახალაიაც გამოეხმაურა. ყოფილი შს და თავდაცვის მინისტრი ლაშა ბრეგვაძის ცემის ფაქტს ცნობილ კრიმინალურ ავტორიტეტს ვატო ყიფიანს უკავშირებს. ახალაიას განმარტებით, ეს არის კრიმინალური სამყაროს მცდელობა, ქვეყანაში ანარქია და ქაოსი დაამყაროს.

რამდენიმე დღის წინ ქურდულმა სამყარომ, ვატო ყიფიანის მეთაურობით, კიდევ ერთხელ გაბედა, ხელი აეღო ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. სასტიკად იქნა ნაცემი ერთ-ერთი საპატიმროს დირექტორი. ეს არის კრიმინალური სამყაროს მცდელობა, ჩამოშალოს სახელმწიფოს ფუნდამენტი, დაამყაროს ქვეყანაში ანარქია და ქაოსი. ისინი ცდილობენ, დაგვაბრუნონ 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც კრიმინალი იყო ქვეყნის ბატონ-პატრონი და ირგვლივ გამეფებული იყო გამოძალვა, შანტაჟი, ძალადობა და საქართველოს თითოეული მოქალაქე იმყოფებოდა საფრთხის ქვეშ. ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩვენ შევძელით, მთლიანად მოგვერღვია ეს კრიმინალური სამყარო და მინდა, ყველას ვუთხრა, განსაკუთრებით კი ორგანიზებული დანაშაულის წარმომადგენლებს, არავის ეგონოს, რომ ეს ბრძოლა სახელმწიფოს მარცხით დასრულდა. დღეს თუ ხვალ მე გამოვალ და ბოლომდე მივიყვან დაწყებულ საქმეს. მანამდე კი კრიმინალების მიერ ჩემთან ასოცირებულ სახელმწიფოს წარმომადგენლებზე ძალადობა უსუსურობის და ლაჩრობის ნიშანია და მეტი არაფერი. ორგანიზებული დანაშაული - ეს ერთ-ერთი საშინელი დაავადებაა ქვეყნისთვის და ამ სენის ადგილი ჩვენს სახელმწიფოში არ არის, - წერს ბაჩო ახალაია.

სამთავრობო კომისია საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების პრობლემების გადაჭრას გეგმავს

გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის სხდომა გუშინ კვლავ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გაიმართა.

სხდომას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია და რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი ხელმძღვანელობდნენ.

დავით ნარმანიას თქმით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების საააგენტომ საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები ადამიანების დახმარების სურვილი გამოთქვა. ამ მიზნით, როგორც მინისტრი აღნიშნავს, სამთავრობო კომისიის სხდომას USAID-ის საქართველოს მისიის ხელმძღვანელი სტივ ჰეიკენი შეუერთდა.

სხდომაზე საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების საჭიროებების შესახებ იმსჯელეს. კომისიის წევრებმა გაზიფიცირების, ელექტროგამრიცხველიანების, შეშით მომარაგების, სოციალური დახმარების დარეგულირების, ამბულატორიების მშენებლობის, მიწების რეგისტრაციის, პირადობის მოწმობების გაცემის, განათლების, სკოლების რეაბილიტაციის საკითხები განიხილეს.

კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, სოფლებში არსებულ საირიგაციო და ცხოველების იმუნიზაციის პრობლემებს სახელმწიფო მოაგვარებს. გარდა ამისა, ადგილებზე ფიტოსანიტარიული კაბინეტები შეიქმნება, რათა პროდუქციის სარეალიზაციოდ გატანა გაადვილდეს.

ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, სხდომაზე ასევე განიხილეს მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც შესაძლოა, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრებმა სტუდენტებმა სახელმწიფოსგან 100-პროცენტიანი სასწავლო გრანტი მიიღონ. როგორც დავით ნარმანია აღნიშნავს, გადაწყვეტილება სტუდენტების რაოდენობის აღწერის შემდეგ იქნება მიღებული.

დავით ნარმანიას ინფორმაციით, დასახული გეგმების რეალიზებისთვის 20 მილიონი ლარია საჭირო. **„შეშით უზრუნველყოფას, დაახლოებით, 2 მილიონი ლარი სჭირდება, თუმცა საჭირო შეშის ნაწილი ფინანსთა სამინისტროს გააჩნია და მას მოსახლეობას გადასცემენ. დამატებითი რაოდენობის გამონახვის მიზნით ლიცენზიანტ კომპანიებთან შეხვედრა გაიმართება, სადაც გაირკვევა, რამდენად შეძლებენ ისინი საჭირო რაოდენობის შეშის მოწოდებას. ასევე, ვისაუბრეთ ამბულატორიების მშენებლობის, განათლების, კერძოდ კი სტუდენტებისთვის დახმარების, მიწის რეგისტრაციის და პირადობის მოწმობების გაცემის საკითხებზე. 20 მილიონი ლარის ნაწილით უნდა დაფინანსდეს ის ღონისძიებები, რომლებიც წლის ბოლომდე მოესწრება. დანარჩენი სამუშაოები, მათ შორის გაზიფიცირება, მომავალი წლის ბიუჯეტიდან დაფინანსდება,“** - აღნიშნავს ნარმანია.

მინისტრი შემაფერხებელ ფაქტორად საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლს მიიჩნევს, რომელიც არჩევნების დასრულებამდე დამატებითი დაფინანსების გამოყოფას კრძალავს. როგორც ნარმანია განმარტავს, ამ ეტაპზე მუშაობა სამინისტროების ბიუჯეტების და არსებული პროგრამების ფარგლებში გაგრძელდება.

პაატა ზაქარეიშვილის ინფორმაციით, მავთულხლართების გაბმის პროცესი ამჟამად შეჩერებულია. სახელმწიფო მინისტრი აცხადებს, რომ მავთულხლართების პრევენციაზე საქართველოს მხოლოდ საკუთარი ძალებით ხელი არ მიუწვდება და ეს საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით უნდა მოხდეს. **„ჩვენ ილუზიებით არ ვიკვებებით. დიდი იმედი გვაქვს, რომ მავთულხლართების გაბმა არ განახლდება, მაგრამ რუსეთისგან ყველაფერი მოსალოდნელია. თუმცა, მიმაჩნია, რომ რუსეთის მიერ განხორციელებული რაღაც ღონისძიებები ჩვენს დღის წესრიგს არ უნდა მართავდეს. ხალხს ნებისმიერ პირობებში ყურადღება უნდა მივაქციოთ,“** - თქვა პაატა ზაქარეიშვილმა.

სახელმწიფო მინისტრის ინფორმაციით, კომისიას ენერგეტიკის სამინისტრომ პირობა მისცა, რომ გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების გაზიფიცირება 6 თვეში დასრულდება და ამისთვის მოსახლეობას თანხის გადახდა არ მოუწევს. **„ბუნებრივი აირის მიწოდება მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება. 6 თვეში გაკეთდება ის, რაც 5 წლის განმავლობაში არ გაკეთებულა,“** - შენიშნავს პაატა ზაქარეიშვილი.

იუსტიციის სამინისტროს მიერ დაგეგმილი სამუშაოს შესახებ საუბრობს თეა წულუკიანი: **იუსტიციის სამინისტრო ამ ჯგუფში ახლა უფრო აქტიურად ჩაერთვება. ყველა უწყება ამ საერთო საქმეში თავის წვლილს დებს. ჩვენი წვლილი კი ის არის, რომ საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებით, საზღვრისპირა სოფლებში, იქ სადაც მოსახლეობას საკუთარი მამა-პაპისეული მიწები დარეგისტრირებული არ აქვს, მიწები სწრაფი ტემპით აღირიცხოს. საჯარო რეესტრი დაზარალებულ მოსახლეობას ყველანაირი საფასურის გარეშე მოემსახურება. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვიდოდა, რომ იმ ხალხს, ვისაც მცოცავ ოკუპაციასთან პირდაპირი შეხება აქვს და მსხვერპლია, მომავალში საკუთარ მიწაზე საკუთარების უფლება არ ექნება. ეს იქ მცხოვრები თითოეული ქართველის მიწაა“**

USAID-ის საქართველოს მისიის ხელმძღვანელის შეფასებით, საკითხები, რომლებსაც კომისია განიხილავს, მეტად მწვავეა. სტივ ჰეიკენი იმედს გამოთქვამს, რომ პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი ზომები გატარდება. **„ჩვენ საქართველოში გზების, წყლის პრობლემების მოსაგვარებლად, დევნილთა საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად სხვადასხვა პროექტებს ვახორციელებთ. სურვილი გვაქვს, ამ პრობლემების მოგვარებაშიც დაგეხმაროთ,“** - ამბობს ჰეიკენი.

დავით ნარმანიამ სტივ ჰეიკენს კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში ამჟამად არსებული ვითარება გააცნო.

ვფიქრობ, USAID-ის დახმარების გამოყენება ყველაზე ლოგიკური იქნება სწორედ იმ ტიპის საკითხების მოსაგვარებლად, სადაც დამატებითი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფაა საჭირო და ეს საარჩევნო კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვის გამო ვერ ხერხდება,“ - ამბობს დავით ნარმანია.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ კომისია USAID-ს საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების მოსახლეობის კონკრეტული საჭიროებების ნუსხას მიაწვდის და საბოლოო გადაწყვეტილება ამის შემდეგ იქნება მიღებული.

საკუთარი ინფორმაცია

ბოლო შეხვედრა არჩევნებამდე

პარტიების წარმომადგენლებთან ცესკო-ში მრგვალი მაგიდა გაიმართა

გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრები ცესკო-ს ინიციატივითა და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მხარდაჭერით ორ კვირაში ერთხელ იმართება.

ცესკო-ს თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ შეხვედრაზე კომისიის აქტივობების შესახებ ისაუბრა. ცესკო-ს პრესსპიკერმა ეკა აზარაშვილმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ აღნიშნულ ფორმატში არჩევნებამდე შეხვედრა აღარ გაიმართება. მისი თქმით, მნიშვნელოვანია, საარჩევნო ადმინისტრაციამ პარტიებს ინფორმაცია მიაწოდოს იმ სიახლეების შესახებ, რომლებიც საარჩევნო პროცესებს ეხება.

შეხვედრაზე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა საარჩევნო პროცესების შესახებ თავიანთი შენიშვნები წარადგინეს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ თინა ბოკუჩავას თქმით, ცესკო აბსოლუტურად ყველა პოლიტიკური პარტიის მოსაზრებების მოსმენას ცდილობს. როგორც ბოკუჩავამ აღნიშნა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეხვედრაზე სახელისუფლებო კანდიდატის მიერ საარჩევნო კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და სხვა დარღვევების შესახებ საჩივარი წარადგინა.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

გიგი უგულავა: სასამართლო პროცესი „სანტა-ბარბარასავით„ გრძელდება

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

პროკურატურა იმ 25 მილიონი ლარის მიზნობრიობით დაინტერესდა, რომელიც ნიკა გილაურის ფინანსთა მინისტრობისას დედაქალაქის ბიუჯეტისთვის გამოიყო.

როგორც გილაურმა სასამართლო პროცესზე დაკითხვის შემდეგ განაცხადა, პროკურატურის შეკითხვები უსაფუძვლო იყო იმ მოტივით, რომ ბიუჯეტიდან გაღებული თანხების მიზნობრიობას იმ პერიოდში ფინანსთა სამინისტრო არ განსაზღვრავდა.

„მაგ დროს მე ფინანსთა მინისტრი ვიყავი. თანხები, რომლებიც გამოიყო, პარლამენტში გვაქვს წარდგენილი საბიუჯეტო ცვლილებების სახით. გამოდის, რომ რაზეც პროკურატურა დავობს, ის თანხა მთავრობამ დაამტკიცა. ეს ცვლილებები შევიდა პარლამენტში, მან განიხილა, დაამტკიცა, მერე შევიდა პრეზიდენტთან, მანაც ხელი მოაწერა, მერე თბილისის მთავრობამ დაამტკიცა და მერე საკრებულომ განიხილა და დაამტკიცა. ამის შემდეგ კი თანხები დაიხარჯა. დავობენ, რატომ დახარჯა თბილისის მერიამ ეს თანხა. წარმოიდგინეთ, რომ აბსოლუტურად ყველა თანხაზე, რომელიც დღეს იხარჯება, ასეთივე ლოგიკით შეიძლება დაისვას კითხვის ნიშნები, იმავე ლოგიკით შეიძლება დაისვას კითხვა, რატომ იყო ეს თანხა ხელფასებისთვის და პენსიისთვის განსაზღვრული ბიუჯეტიდან, ასევე გზებისთვის. ყველაფერი, რაც ბიუჯეტშია გაწერილი, პარლამენტის მიერ არის დამტკიცებული,“ - განაცხადა ნიკა გილაურმა.

მისივე თქმით, თანხის მიზნობრიობა მის მოვალეობაში არ შედიოდა, რადგან თბილისს საკრებულო ჰყავს, რომელიც დედაქალაქის ბიუჯეტის მიზნობრიობას განსაზღვრავს.

„საუბარია თანხაზე, სადაც ყველა პროცედურა დაცულია. კითხვას სვამს პროკურატურა, თუ რატომ დახარჯა ეს თანხები თბილისის მერიამ. თანხის მიზნობრიობა ჩემს მოვალეობაში არ იყო და როგორ იქნებოდა, როდესაც თბილისს თავისი საკრებული ჰყავს, რომელიც ბიუჯეტის მიზნობრიობას განსაზღვრავს,“ - განაცხადა ნიკა გილაურმა.

დედაქალაქის მერ გიგი უგულავას განცხადებით, „იმედისა“ და რიყის ტერიტორიის გასხვისების საქმეზე მოწმეთა გუშინდელი ჩვენებები კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საქმე პოლიტიკურად მოტივირებულია.

მისივე თქმით, შეუძლებელია, კოლეგიალური და არჩევითი ორგანოების მიერ თანხის გამოყოფის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას პროკურატურა აფასებდეს.

„პროცესი კიდევ ერთი თვით გადაიდო. „სანტა-ბარბარას“ სერიალი გრძელდება. მიმდინარეობს პროკურატურის იდენტიფიცირებული მოწმეების დაკითხვა. აბსოლუტურად დაუსაბუთებელი და პოლიტიკურად მოტივირებული საქმეა. ამ თანხებს, რომლებზეც საუბარია, ყველა პროცედურა აქვს გავლილი. შეიძლება, პროკურატურა აფასებდეს კოლეგიალური და არჩევითი ორგანოს გადაწყვეტილებას? ეს იგივეა, პარლამენტმა კანონი რომ მიიღოს მძიმე ნაცრის ან ბუსუსებიანი პრეზერვატივების შესახებ და პროკურატურამ თქვას, ეს უკანონოაო და ამაში ვიღაცამ ფული აიღოო,“ - აღნიშნა გიგი უგულავამ.

უგულავას თქმით, ყველამ კარგად იცის, ვინ არის ჯოზეფ ქეი და რა გარიგებაშია პროკურატურასთან.

„ქეი პროკურატურასთან გარიგებულია. აგერ, პატარკაციშვილების ოჯახს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ართმევენ, რომ ჯოზეფ ქეი სასამართლოში მოვიდეს და ჩვენება მისცეს. ეს აბსურდია და პოლიტიკურად მოტივირებულია. დარწმუნებული ვარ, პროკურატურას შერცხვება, როდესაც აღნიშნული საქმე დასრულდება, რადგან ეს სირცხვილია და პროკურატურის სირცხვილად დარჩება,“ - განაცხადა გიგი უგულავამ.

ამასთან, დედაქალაქის მერი კითხულობს, რატომ არ ინტერესდება პროკურატურა იმით, რომ რიყის ტერიტორიაზე გამოცხადებულ არქიტექტურულ კონკურსში ფონდი „ქართუც“ მონაწილეობდა. უგულავას განცხადებით, ეს ის დეტალია, რომელიც პროკურატურას, რატომღაც, გამორჩა.

„გამორჩა იმიტომ, რომ რიყის ტერიტორიის კონკურსის დამთავრების შემდეგ, როდესაც არქიტექტურული კონკურსი მიდიოდა, მასში „ქართუ“ ფონდი იყო ჩართული. მე მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, რადგან ისინი დაგვეხმარნენ ორგანიზებაში და რამდენიმე ცნობილ არქიტექტორთან კონტაქტზე გასვლაში, მაგრამ როდესაც პროკურატურას 150 მოწმე ჰყავს დაკითხული, ეს დეტალი, რატომღაც, გამორჩა. რატომ გამორჩა, თქვენ თვითონ განსაზღვრეთ. იმიტომ, რომ მაშინ დღევანდელი მთავრობის თავმჯდომარე უნდა დაკითხონ, რადგან ფონდი „ქართუ“ მას ეკუთვნის,“ - განაცხადა გიგი უგულავამ.

მისი თქმით, საინტერესოა, რატომ არ უნდა პროკურატურას იმის გარკვევა, ხომ არ აიძულა ყოფილმა ხელისუფლებამ ფონდ „ქართუს“ კონკურსში მონაწილეობა.

„რატომ არ აინტერესებს ეს დეტალი პროკურატურას? იქნებ, „ქართუს“ ვაიძულებდით, რომ კონკურსში მონაწილეობა მიეღო, ეს ხომ უნდა გაარკვიონ? თუმცა, არ არკვევენ, რაც მოწმობს, რომ პროკურატურას სურს, ცალმხრივად აწარმოოს სისხლის სამართლის საქმე,“ - განაცხადა გიგი უგულავამ.

გარდა ამისა, გუშინდელ პროცესზე მოსამართლემ დავით კეზერაშვილის დაკავების შესახებ პროკურატურას შეკითხვა დაუსვა, არსებობს თუ არა რაიმე დოკუმენტი. როგორც კეზერაშვილის ადვოკატმა პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადა, პროცესზე პროკურატურამ კეზერაშვილის დაკავების შესახებ ვერანაირი დოკუმენტი ვერ წარმოადგინა.

გიგი უგულავამ კომენტარი გააკეთა თავდაცვის ყოფილი მინისტრის საფრანგეთში დაკავების შესახებ. თბილისის მერის განცხადებით, მისთვის დავით კეზერაშვილის დაკავების დეტალები უცნობია.

„დათო კეზერაშვილი ჩემი მეგობარია. ჩვენი მეგობრობა პოლიტიკით არ დაწყებულა და არც პოლიტიკით არ დამთავრდება. მე დატალები არ ვიცი და არც იმის თქმა შემიძლია, საფრანგეთის სასამართლო ექსტრადიციაზე რა გადაწყვეტილებას გამოიტანს. თუმცა, ანალოგიის პრინციპით შემიძლია, ვიმსჯელო, რომ ყველა ასეთ შემთხვევაში სასამართლომ ექსტრადიციაზე უარი უთხრა საქართველოს სახელმწიფოს. მეტიც, უკვე, დაახლოებით, 30-მდე პოლიტიკური დევნილის სტატუსის მქონე პირია, რომლებიც ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნებმა შეიფარეს. თვითონ ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში პოლიტიკური მართლმსაჯულება, პოლიტიკური დევნა ხორციელდება პოლიტიკური ოპონენტების მიმართ, რასაც ევროკავშირი აღიარებს იმით, რომ ამ ხალხს პოლიტიკურ თავშესაფარს აძლევს,“ - განაცხადა უგულავამ ჟურნალისტებთან საუბარში.

მისივე თქმით, ე.წ. რიყის ტერიტორიისა და „იმედის“ გასხვისებისის საქმეზე დავით კეზერაშვილი იმიტომ ფიგურირებს, რომ მისი მეგობარია.

„ის ამ საქმეში ფიგურანტია იმიტომ, რომ ჩემი მეგობარია და მეტი არაფერი,“ - განაცხადა უგულავამ.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი 14 ოქტომბერს საფრანგეთში დააკავეს და ის ამ დრომდე წინასწარ პატიმრობაში რჩება. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ კეზერაშვილის ექსტრადიციისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადება უკვე დაიწყო.

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, თუ დავით კეზერაშვილის საექსტრადაციო პროცედურები 40 დღეში არ დასრულდება, მაშინ ქართული მხარე პატიმრობის გაგრძელებას მოითხოვს. მისივე თქმით, თავდაცვის ყოფილი მინისტრი წითელი ცირკულარით ძებნილი არ ყოფილა.

„მიუხედავად ამისა, შს სამინისტროს ინტერპოლის განყოფილებამ, ფრანგ კოლეგებთან ერთად, ძალიან კარგად იმუშავა, ასევე - მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტმაც. გუშინ საფრანგეთის სასამართლომ კეზერაშვილს 40-დღიანი საექსტრადაციო პატიმრობა შეუფარდა. მთავარმა პროკურატურამ ამ ვადაში უნდა წარადგინოს მასალები სისხლის სამართლის იმ საქმის შესახებ, რომელიც აქ არის აღძრული,“ - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

მისივე ინფორმაციით, კეზერაშვილის მიმართ ორი საქმე არსებობს - ერთი ფულის გათეთრებას ეხება, ხოლო მეორე - კორუფციას ბიზნესის მფარველობის კუთხით.

„გუშინ მეც მივმართე საფრანგეთის იუსტიციის მინისტრს მადლობის წერილით, რომ ჩვენმა ორმა ქვეყანამ ამგვარი კარგი თანამშრომლობის მაგალითი აჩვენა. ამ სისხლის სამართლის საქმეზე, რა თქმა უნდა, ვიჩქარებთ, რათა ამ 40 დღეში საექსტრადაციო პროცედურები დასრულდეს. თუ არადა, მოთხოვნილი იქნება პატიმრობის გაგრძელება, როგორც ეს ნებისმიერი სხვა კლასიკური ექსტრადირების შემთხვევაში ხდება,“ - განაცხადა თეა წულუკიანმა.

დავით კეზერაშვილის ადვოკატ შოთა მინდელის განმარტებით, თავდაცვის ყოფილი მინისტრის ექსტრადირების საკითხი საქართველოს პროკურატურის დასაბუთებაზეა დამოკიდებული. მისივე თქმით, კეზერაშვილის საფრანგეთში მყოფ ადვოკატთან კავშირები უკვე არსებობს.

„ამ შემთხვევაში ჯერი საქართველოს პროკურატურაზეა. მან უნდა გაგზავნოს მოთხოვნა. რამდენად დაადასტურებენ ისინი გადმოცემის აუცილებლობას, ეს დამოკიდებული იქნება ამ საქმეში პროკურატურის დასაბუთებაზე,“ - განაცხადა ადვოკატმა.

ჟურნალისტების კითხვაზე, თუკი კეზერაშვილი წითელი ცირკულარით არ იძებნებოდა, რა პირობებით მოხდა მისი დაკავება, ადვოკატმა აღნიშნა, რომ ამას მოგვიანებით გაეცემა პასუხი.

„ეს ის დეტალებია, რომლებსაც მომავალში აუცილებლად გაეცემა პასუხი. მე დღეს ამისგან თავს შეიკავებ,“ - თქვა შოთა მინდელმა.

გიგი უგულავასა და დავით კეზერაშვილის სასამართლო პროცესი მოწმეების დაკითხვის ეტაპით 12 ნოემბერს გაგრძელდება.

საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილის დაკავებას ფრანგული პრესა ეხმაურება. «მონდი» წერს, რომ დავით კეზერაშვილი 14 ოქტომბერს ნიცასა და მონაკოს შორის ტერიტორიაზე ქართველი სამართალდამცავების მოთხოვნის საფუძველზე დააკავეს.

„საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილს ბრალად ედება თაღლითობა და კორუფცია. ის ციხეში 40 დღეს გაატარებს. ამ დროის განმავლობაში იქნება მიღებული გადაწყვეტილება მის შესაძლო ექსტრადიციაზე,“ - წერს ფრანგული გამოცემა.

სტატიის მიხედვით, დავით კეზერაშვილი, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებული პირი, ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით ძებნილ პირთა სიაში არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ თბილისმა ინტერპოლს კეზერაშვილის დაკავების საკითხით მიმართა.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, დავით კეზერაშვილის დაკავება საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი კვირით ადრე ორ ქვეყანას შორის პოლიციის სფეროში თანამშრომლობის ნაწილია. სტატიის ავტორი ასევე წერს, რომ ყოფილ პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის დაპატიმრების შემდეგ დავით კეზერაშვილი მეორე მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომელსაც მართლმსაჯულება შეეხო.

„მისი დაკავება საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი კვირით ადრე ორ ქვეყანას შორის პოლიციის სფეროში თანამშრომლობის ნაწილია. 2004-2006 წლებში კეზერაშვილი ფინანსურ პოლიციას ხელმძღვანელობდა. ის ასევე თავდაცვის მინისტრი იყო 2008 წლის ბოლომდე. ამ პოლიტიკური გამოცდილების შემდეგ დავით კეზერაშვილი ბიზნესით დაკავდა. არასამთავრობო ორგანიზაცია Transparency International-ის საქართველოს განყოფილება არაერთხელ მიუთითებდა მისი აქტივების დაუდგენელ წარმომავლობაზე, რომლებიც დარეგისტრირებული იყო ოფშორულ ზონებში. ის საკმაოდ წარმატებული იყო სარეკლამო ბიზნესში. მისი მთავარი პარტნიორია დავით იაკობაშვილი, მოსკოვში მცხოვრები გავლენიანი ბიზნესმენი. 2013 წლის იანვრის ბოლოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა მას ბრალი დასდო ქრთამის სახით 12 მილონი დოლარის აღებაში, რის სანაცვლოდაც 2007-2012 წლებში პროტექციას უწევდა კონტრაბანდული ალკოჰოლის ტრაფიკს უკრაინიდან. მაგრამ, მის საქმეში მთავარი ბრალდება 2008 წელს და ტელეკომპანია „იმედს“ ეხება. თავის დროზე მან აიძულა მთავარი აქციონერი ჯოზეფ ქეი, ტელეკომპანია 10 მილიონი დოლარის სანაცვლოდ დაეთმო. დაკავებამდე ცოტა ხნით ადრე დავით კეზერაშვილი საფრანგეთში ლონდონიდან ჩამოვიდა, სადაც მან ერთი თვე ყოველგვარი შეფერხების გარეშე გაატარა. როგორც ისრაელის პასპორტის მქონე ადამიანმა, მან საქართველო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დატოვა. საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის დაპატიმრების შემდეგ, დავით კეზერაშვილი მეორე მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომელსაც მართლმსაჯულება შეეხო. ეს მიხეილ სააკაშვილის პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა. იმ დროს, როდესაც მერაბიშვილი ორგანიზატორი იყო, დავით კეზერაშვილი უზრუნველყოფდა პარტიის დაფინანსებას და ურთიერთობების განვითარებას კერძო სექტორის მსხვილ მეწარმეებთან,“ - წერს «მონდი».

ფრანგული სააგენტო „ფრანს პრესი“ კი, პოლიციის წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ნიცას აეროპორტიდან ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში მიემგზავრებოდა.

„ფრანს პრესის“ ინფორმაციით, დავით კეზერაშვილი მარსელის ჩრდილოეთით მდებარე პროვინცია ოქს-ინის საპყრობილეშია მოთავსებული.

დავით კეზერაშვილს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ქვეპუნქტით, 214-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით, 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით და 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა, რაც გულისხმობს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ქრთამის აღება, ორგანიზებული ჯგუფის მიერ საბაჟო წესების დარღვევას, რამაც განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ზარალი გამოიწვია. ამასთან, ორგანიზებული ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ფულის გათეთრებას და უკანონო შემოსავლის მიღებას, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ მითვისება-გაფლანგვას დიდი რაოდენობით.

მართვის მოწმობისთვის გამოცდების ჩაბარებაში სიახლეა

2013 წლის ბოლოდან, მოსახლეობას საშუალება ექნება, მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული გამოცდა როგორც ავტომატურ, ისე მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალებაზე ჩააბაროს, - აღნიშნულ საკითხზე გუშინ შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელმა ნინო კობახიძემ სააგენტოში დეტალურად ისაუბრა.

ნინო კობახიძის ინფორმაციით, იმ შემთხვევაზე, თუ მოქალაქე გამოცდას ჩააბარებს ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალებაზე, მას უფლება ეძლევა, მართოს მხოლოდ ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე ავტომობილი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამოცდას მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალებაზე ჩააბარებს, მოქალაქეს უფლება აქვს, მართოს როგორც ავტომატური, ასევე მექანიკური გადაცემათა კოლოფის მქონე ავტომობილი.

შს სამინისტროს მომსახურების სააგენტო სისხლის ბანკთან ერთად სიახლის დანერგვას გეგმავს, რომლის განხორციელების შემთხვევაში, მართვის მოწმობაში მიეთითება მფლობელის სისხლის ჯგუფი და რეზუსი. მართვის მოწმობაში სისხლის ჯგუფის და რეზუსის აღნიშვნა ამ ეტაპზე ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს.

როგორც პრესკონფერენციაზე ნინო კობახიძემ განაცხადა, სისხლის ბანკის დახმარებით მომსახურების სააგენტოს ტერიტორიაზე ლაბორატორია განთავსდება, სადაც უახლოეს მომავალში მსურველებს საშუალება ექნებათ, მართვის მოწმობის აღებისას უფასოდ მიიღონ ინფორმაცია საკუთარი სისხლის ჯგუფისა და რეზუსის შესახებ, ხოლო დონორობის შემთხვევაში, საშუალება ექნებათ, ოთხი სახეობის ვირუსზე უფასო გამოკვლევა ჩაიტარონ.

2014 წლიდან შს სამინისტროს მომსახურების სააგენტო, განათლების სამინისტროსთან ერთად, საჯარო სკოლებში საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის უსაფრთხოების წესების სწავლების შემოღებას გეგმავს. დღეისათვის აღნიშნული საგანი ერთი სემესტრის განმავლობაში ისწავლება და მისი სწავლა ნებაყოფლობითია, 2014 წლიდან კი ამ საგანის სწავლება უფროს კლასებში უკვე სავალდებულო გახდება.

ამის გარდა, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, მომსახურების სააგენტო რამდენიმე სიახლესაც ნერგავს. მიმდინარე წლის 9 სექტემბრიდან მომსახურების სააგენტომ მომხმარებელს განახლებული ვებ-გვერდი შესთავაზა, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სააგენტოს მიერ გაწეული სხვადასხვა მომსახურებებისა და სიახლეების შესახებ. აღნიშნული ვებ-გვერდის საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა ელექტრონული მომსახურებით სარგებლობა. უახლოეს მომავალში, როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფ პირებს საშუალება ექნებათ, ვებგვერდზე ელექტრონული განაცხადის შევსების საფუძველზე, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობა და ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა შეცვალონ ან დაკარგული აღადგინონ. ვებ-გვერდის საშუალებით ასევე შესაძლებელი იქნება უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტის ქართულ ენაზე თარგმნის სერვისის შეთავაზებაც.

„ნაციონალური მოძრაობის˝ ოფისში გიორგი გაბედავა და ირაკლი კაკაბაძე შეიჭრნენ

„ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალურ ოფისში „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრები გიორგი გაბედავა და ირაკლი კაკაბაძე შეიჭრნენ. მათი თქმით, 10 დღის წინ „ნაციონალურ მოძრაობას“ შეკითხვით მიმართეს, რაზეც პასუხი არ მიუღიათ. კერძოდ, ისინი ითხოვდნენ მიხეილ სააკაშვილის ბიოგრაფიას, იყო თუ არა სააკაშვილი 89-90-იან წლებში რუსეთის სპეცსამსახურის წარმომადგენელი. ოპოზიციურ პარტიაში მათ უპასუხეს, რომ წერილობით პასუხს ერთ თვეში მიიღებდნენ.

ამის შემდეგ ირაკლი კაკაბაძემ ლექსის კითხვა დაიწყო. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა მას მოსთხოვეს, ოფისი დაეტოვებინათ და ლექსის კითხვა გარეთ გაეგრძელებინა, თუმცა მან ლექსის კითხვა ოფისში გააგრძელა. ამას ხმაური მოჰყვა.

როგორც ირაკლი კაკაბაძემ განაცხადა, მათ აქვთ ინფორმაცია, რომ 1989 წლიდან მიხეილ სააკაშვილი „კაგებეს“ თანამშრომელია. „ოფისი აკეთებს საბოტაჟს, ამ კითხვას პასუხს არ სცემენ,“ - განაცხადა კაკაბაძემ.

„თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებს ოფისი საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა დაატოვებინეს

ირაკლი ღარიბაშვილმა ირაკლი ალასანია მიიღო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია იმყოფებოდა. შს სამინისტროს ინფორმაციით, ირაკლი ალასანია შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მიიღო. რიგით მესამე სამუშაო შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ძალოვანი მინისტრების მოადგილეები და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი.

მინისტრებმა კრიზისის მართვის ერთობლივი კოორდინირებული მუშაობის, შსს-ს აკადემიისა და თავდაცვის აკადემიის ურთიერთთანამშრომლობა, მათ შორის, სპეციალისტების მომზადების საკითხი განიხილეს. შეხვედრაზე დაიგეგმა შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების თანამშრომლების ერთობლივი ნვრთნების ჩატარება.

უწყებათშორისი სამუშაო შეხვედრები მომავალშიც გაიმართება.

მუსლიმთა დღესასწაულის მიუხედავად, სირიაში ბრძოლები გრძელდება

მუსლიმთა მნიშვნელოვან დღესასწაულის ეიდ ალ-ადჰას მიუხედავად, სირიაში სამშაბათს საჰაერო ძალებმა ამბოხებულთა პოზიციები დაბომბეს. ამბოხებულებმა კი დამასკოს ცენტრის მიმართულებით გაუშვეს რაკეტები.

თუმცა, სახელმწიფო ტელეარხებმა ქვეყნის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი აჩვენეს, როდესაც ის დამასკოს მეჩეთში დილის ლოცვას ესწრებოდა. ქვეყანაში დაპირისპირება 2011 წლის მარტში დაიწყო, რასაც, გაეროს მონაცემებით, 110 000 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა. 2,1 მილიონი სირიელი კი ლტოლვილად იქცა.

გუშინვე სირიის სამხრეთ პროვინცია დერაასი ავტობუსის აფეთქებას, სულ მცირე, 21 ადამიანი ემსხვერპლა. უფლებადამცველი ჯგუფის ინფორმაციით, დაღუპულებს შორის ბავშვები და ქალებიც არიან. ის ადგილი, სადაც აფეთქება მოხდა, «ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, ამბოხებულების «ტერიტორიად" მიიჩნევა. სირიაში მოქმედმა უფლებადამცველმა ჯგუფმა ავტობუსში ბომბის დამონტაჟებაში რეჟიმის ძალები დაადანაშაულა. ქვეყნის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ ამბოხება სწორედ დერაას პროვინციაში დაიწყო.

მოსკოვში ჰოლანდიელ დიპლომატს სცემეს

ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრმა ამ ქვეყანაში რუსეთის ელჩი რომან კოლოდკინი მოსკოვში ჰოლანდიელი დიპლომატის ცემის გამო დაიბარა. დიპლომატმა, რომლის ვინაობასაც ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრო არ ასახელებს, მსუბუქი ტრამვები მიიღო. რუსული მედიასაშუალებების ცნობით კი, ნაცემია 66 წლის ონო ელდერენბოსი. მას ბინაში შეუვარდნენ გაკოჭეს და სცემეს. სულ რამდენიმე დღის წინ ჰაიაგაში რუს დიპლომატს პოლიციამ ასევე საკუთარ ბინაში სცემა და შემდეგ რამდენიმე საათით დააკავა. აღნიშნულის გამო რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ჰოლანდიას ბოდიშის მოხდა და ახსნა-განმარტება მოსთხოვა.

ტაიფუნ ვიპჰას ტოკიოში 14 ადამიანი ემსხვერპლა

ოთხშაბათს ტოკიოს ბოლო ათი წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერი ტაიფუნი ვიპჰა დაატყდა თავს, რასაც «სი-ენ-ენ"-ის ინფორმაციით, სულ მცირე, 14 ადამიანი შეეწირა. ტოკიოს აეროპორტებში ასობით რეისი გადაიდო. ტაიფუნი ჩრდილოეთის მიმართულებით გადაადგილდება და გუშინ საღამოს ჰოკაიდომდე იყო მისული.

ალ-ლიბი თავს დამნაშავედ არ ცნობს

«ალ ქაიდას" სავარაუდო წევრი აბუ ანას ალ-ლიბი, რომელიც ცოტა ხნის წინ ამერიკის სპეცრაზმმა ლიბიაში აიყვანა, ბრალდებას უარყოფს. მას 1998 წლებში კენიასა და ტანზანიაში ამერიკის საელჩოებზე მომხდარი თავდასხმების ორგანიზება ბრალდება. სამშაბათს ნიუ-იორკის ფედერალურ სასამართლოში ალ-ლიბის ტერორიზმის ბრალდება ოფიციალურად წაუყენეს. სასამართლო 22 ოქტომბერს განახლდება.

ბრაზილიაში მასწავლებლების აქცია შეტაკებით დასრულდა

ბრაზილიის დიდ ქალაქებში მასწავლებლების მხარდასაჭერი მშვიდობიანი აქცია პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა. ბრაზილიელი მასწავლებლები უკვე ორი თვეა, სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და ხელფასების მატებას მოითხოვენ. «ბი-ბი-სის" ინფორმაციით, რიო-დე-ჟანეიროში მშვიდობიანი აქციის დასრულების შემდე, ნიღბიანმა პირებმა მაღაზიები გატეხეს და პოლიციის მანქანები დაწვეს. შეტაკება სან-პაულუშიც მოხდა, სადაც დემონსტრანტებმა მაღაზიები დაარბიეს. პოლიციამ მათ წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. რამდენიმე ადამიანი დააპატიმრეს.

«ტიმოშენკოს საკითხის" გადაწყვეტამდე უკრაინის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება არ გაფორმდება

მხოლოდ უკრაინის ყოფილი პრემიერის იულია ტიმოშენკოს გათავისუფლების ან მისი საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაშვების შემდეგ გახდება შესაძლებელი უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა, - ამის შესახებ განცხადება გააკეთა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარმა შტეფან ფიულემ. მან იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს პერიოდში უკრაინის ხელისუფლება იულია ტიმოშენკოს ციხიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს, რის შემდეგაც ის საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასვლას შეძლებს: «ეს მომდევნო კვირაში არა, მაგრამ ვილნიუსის სამიტამდე მოხდება," - განაცხადა ფიულემ. ცნობისათვის - ევროკავშირსა და უკრაინას შორის ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა სწორედ ნოემბერში, ვილნიუსში ევროკავშირის სამიტზე იგეგმება. ფიულეს მოსაზრებას კიევში გერმანიის ელჩი კრისტოფ ვალიც იზიარებს, რომელიც მიიჩნევს, რომ ტიმოშენკოს ირგვლივ არსებული სიტუაციის გადაწყვეტის გარეშე ნოემბერში უკრაინასთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა არ არის მოსალოდნელი: «ფაქტი ფაქტად რჩება. ამისათვის 28 წევრის თანხმობაა საჭირო. მსგავსი შეთანხმების ხელმოწერის წარმოდგენა კი ძნელია, თუ ტიმოშენკო კვლავ გისოსებს მიღმა იქნება," - აღნიშნა დიპლომატმა.

მოამზადა თამთა კახაძემ

აშშ-ს კონგრესში ბიუჯეტზე შეთანხმდნენ

პირველი გვერდიდან

ეს გეგმა გუშინ ღამითვე უნდა დამდგარიყო კენჭისყრაზე წარმომადგენელთა პალატაში, შემდეგ კი სენატში. მიღების შემთხვევაში მას პრეზიდენტი ობამა ხელს დაუყოვნებლივ მოაწერს, რადგან დღეს ბოლო ვადაა, როდესაც აშშ-ს ყველა რეზერვი ეწურება. თუ კონგრესი „ვალის ჭერს" არ აწევდა, აშშ ხელისუფლებას ხუთშაბათს, შუაღამისას, ტექნიკური დეფოლტის გამოცხადება უწევდა.

სენატში გამოსვლისას ჰარი რიდმა შეთანხმებას „ისტორიული" უწოდა და აღნიშნა, რომ ის კონგრესს საშუალებას აძლევს, ბიუჯეტის შესახებ გრძელვადიანი შეთანხმება შეიმუშაოს. „ჩვენი ქვეყანა კატასტროფის ზღვარზე აღმოჩნდა," - განაცხადა სენატის უმრავლესობის ლიდერმა.

რესპუბლიკური უმცირესობის ლიდერი სენატში მიტჩ მაკკონელი, რომელიც, რიდთან ერთად, ამ შეთანხმების ავტორია, დარწმუნებულია, რომ დეფოლტი აცილებულია და ფედერალური ინსტიტუტები მუშაობის განახლებას შეძლებენ. «ახლა რესპუბლიკელები სხვა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად უნდა გავერთიანდეთ," - შენიშნა მაკკონელმა.

აშშ-ს ხაზინა მაისიდან მოყოლებული, როდესაც მიღწეულ იქნა სესხის ზედა ზღვარი 16,7 ტრილიონი აშშ დოლარის ოდენობით, ფინანსური ვალდებულებების გასტუმრებას საგანგებო ღონისძიებების მეშვეობიათ ახერხებდა.

პოლიტიკოსები, ბანკირები და ეკონომისტები აშშ-ს ხელისუფლების ყველა შტოს და საზოგადოებას აფრთხილებდნენ მსოფლიო ეკონომიკისთვის იმ საშინელ შედეგებზე, რაც მოსალოდნელი იყო, თუ თეთრი სახლი და კონგრესი კომპრომისს ოთხშაბათამდე ვერ მიაღევდნენ. სარეიტინგო სააგენტო «ფიტჩი» აშშ-ს საკრედიტო რეიტინგის «AAA» გადასინჯვითაც დაიმუქრა და პროგნოზი უკვე შეცვალა «ნეგატიურზე».

აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა თანმიმდევრულად უარყოფდა რესპუბლიკელების მიერ შეთავაზებულ ყველა პროექტს, რომლებიც სახელმწიფო ვალის ზედა ზღვრის აწევის სანაცვლოდ დემოკრატებისა და აშშ-ს მთავრობისგან დათმობებს გულისხმობდა. ობამა რესპუბლიკელების ტაქტიკას, რომლებიც წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობას ფლობენ, შანტაჟად და გამოძალვად აფასებდა.

რესპუბლიკელების უმთავრესი მიზანი იყო სერიოზული ცვლილებების შეტანა სადაზღვევო ჯანდაცვის სისტემის რეფორმის შესახებ 2010 წელს მიღებულ კანონში (მოკლედ მას „ობამაკეარს" უწოდებენ), რომელსაც მოქმედი პრეზიდენტი თავის მთავარ მიღწევად მიიჩნევს.

ყველა შემთხვევაში, ეს შეთანხმება იმავე ტიპის დროებითი გამოსავალია, რაც ობამას მმართველობის განმავლობაში რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის უკვე რამდენჯერმე გაფორმდა. მათ მთელი წლის ბიუჯეტის საბოლოოდ შესათანხმებლად უახლოეს სამ თვეში სერიოზული მოლაპარაკებების წარმოება მოუწევთ.

2014 წლის 1 იანვრიდან ძალაში უნდა შევიდეს სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა. სახელმწიფო დაბალშემოსავლიან მოქალაქეებს უნდა დაეხმაროს, ხოლო დანარჩენებისთვის, ვისაც შემოსავალი აქვს და დაზღვევას არ გააფორმებს, ჯარიმაა გათვალისწინებული. სწორედ ეს იწვევს ამერიკელების დიდი ნაწილის გაღიზიანებას, ამ ელექტორატზე აკეთებენ აქცენტს რესპუბლიკელები და ამ ნორმის შემოღების ერთი წლით გადავადებას მოითხოვენ. ამას ტექნიკური დეტალებიც ახლავს, რაც რამდენიმე გადასახადის შემოღების გადავადებასაც გულისხმობს. ვნახოთ, რა ტიპის გრძელვადიან კომპრომისს მიაღწევენ მხარეები უახლოეს რამდენიმე თვეში.

დღეს, დილას, გაზეთის გამოსვლის მომენტისთვის უკვე ცნობილი იქნება კენჭისყრის შედეგები ორივე პალატაში.

ირანი სანქციების მოხსნას ითხოვს და თანამშრომლობის პირობას დებს

პირველი გვერდიდან

ამ ქვეყნების გარდა, მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ ევროკავშირს უმაღლესი წარმომადგენელი საერთაშორისო ურთიერთობებსა და უსაფრთხოების საკითხებში კეტრინ ეშტონი (კოორდინატორის რანგში) და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლები.

დელეგაციების ხელმძღვანელებად ოფიციალურად დანიშნულნი არიან საგარეო საქმეთა მინისტრები, თუმცა ყოველდღიურ მოლაპარაკებებს მათი მოადგილეები აწარმოებენ - მაგალითად, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე აბას არაკჩი, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე პოლიტიკურ საკითხებში უენდი შერმანი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგეი რიაბკოვი და ა.შ.

შეხვედრების პირველ დღეს მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკებების დეტალებს არ გაახმაურებდნენ, თუმცა გუშინ მედიის წარმომადგენლებმა დელეგაციებში საკუთარი წყაროების მეშვეობით გარკვეული ცნობები მაინც მოიპოვეს. ოფიციალური ზოგადი კომენტარებიც, ფაქტობრივად, ყველა მხარემ გააკეთა, რაც მოლაპარაკებებზე განხილულ საკითხებზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა.

სამშაბათს ირანმა პრობლემის გადაჭრის საკუთარი გეგმა წარმოადგინა საპრეზენტაციო კომპიუტერული პროგრამის „PowerPoint"-ის მეშვეობით. ამ გეგმის შესახებ გარკვეული ინფორმაცია ირანის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმაც გაახმოვანეს. მის შესახებ მოკლედ ისაუბრეს თვით აბას არაკჩიმ და „ექვსეულის" წევრი სახელმწიფოების დელეგაციების წევრებმა. ამ რამდენიმე წყაროდან მოწოდებული ინფორმაციის შეკრებით ირკვევა, რომ ირანის გეგმა 3-ეტაპიანია. მისი საბოლოო მიზანი, ოფიციალური თეირანის აზრით, ქვეყნის წინააღმდეგ შემოღებული სანქციების მთლიანად მოხსნაა. ამაში იგულისხმება ყველა სანქცია, ისინიც, რომლებიც გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით არის შემოღებული და ისინიც, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოებმა და მათმა მოკავშირეებმა შემდგომში ცალმხრივად შემოიღეს ირანზე ზეწოლის გაძლიერების მიზნით. ირანი პირობას იძლევა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობასთან სრულად ითანამშრომლებს და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მათ პროგრამაზე სრული დაკვირვების საშუალება ექნება, მათ შორის მოულოდნელი შემოწმებების სახითაც. ირანი თანახმაა, გაეროს საკვანძო მოთხოვნაც შეასრულოს - საკუთარ ქარხნებში ურანის გამდიდრების დონე შეამციროს. ამას გარდა, ირანი საერთაშორისო თანამეგობრობისგან მოითხოვს, რომ მათ აღიარონ ირანის უფლება, განავითაროს ბირთვული ტექნოლოგიები მშვიდობიანი მიზნებით, ამუშაოს მშვიდობიანი ბირთვული ობიექტები, კვლევითი რეაქტორების ჩათვლით.

ოთხშაბთს შეხვედრები უფრო გვიან, 11:00 საათზე დაიწყო, რადგან „ექვსეულს" ირანის წინადადებების შესასწავლად დამატებითი დრო და პოზიციების შესაჯერებლად საკოორდინაციო შეხვედრის გამართვა დასჭირდა. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე აბას არაკჩი მოლაპარაკებების დაწყებამდე ამბიციურად აცხადებდა, რომ ირანის მიერ მომზადებულ წინადადებებს შეუძლია, მოლაპარაკებებში გარღვევა გამოიწვიოს. მან აღიარა, რომ პარტნიორები ირანის პროგრამას სრული სერიოზულობით მოეკიდნენ. თუმცა უკვე დიალოგის მიმდინარეობისას „ექვსეულის" სახელმწიფოთა დელეგაციების წევრები, ყველაზე აქტიურად საფრანგეთისა და რუსეთის (რაც დამაფიქრებელია) წარმომადგენლები ჯერ ანონიმურად გამოთქვამდნენ შეშფოთებას იმის გამო, რომ ყველაფერი არც ისე მარტივად არის და ამ ორ დღეში პოზიტიური შედეგის მიღება საეჭვოა.

კეტრინ ეშტონის პრესმდივანმა მაიკლ მანმა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ მოჰამედ ჯავად ზარიფის გეგმას „ძალიან სასარგებლო" უწოდა, თუმცა ისიც დასძინა, რომ თეირანის მხრიდან მხოლოდ პირობის დადება საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანია, რომ ირანელებმა სიტყვები საქმით დაამტკიცონ. პრესმდივნის თქმით, შედეგის მიღებას სწრაფად არავინ ელოდება, რადგან ეს მოლაპარაკებების პროცესია, მხოლოდ ამ პროცესის ბოლოს შეიძლება, სანქციების რეჟიმის შეცვლაზე ლაპარაკი. მისივე სიტყვებით, სანამ სანქციების მიზეზი რჩება, სანქციებიც დარჩება. იგივე პოზიცია აქვს აშშ-საც. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სანამ მოლაპარაკებები მიმდინარეობს, ირანზე ეკონომიკური ზეწოლა გაგრძელდება. თუმცა ამერიკელმა დიპლომატმა არ გამორიცხა, რომ შეიძლება, სანქციები ეტაპობრივად შერბილდეს ირანის წინადადებებისა და მათი რეალიზაციის პროპორციულად. ჯერჯერობით, ირანის მიმართ ყველაზე მეტი სკეპტიციზმი საფრანგეთის დელეგაციის წევრებმა გამოხატეს.

ჟენევაში ორმხრივი შეხვედრებიც გაიმართა - ირანისა და აშშ-ს, აგრეთვე დიდი ბრიტანეთისა და ირანის დელეგაციებს შორის. ამერიკელებთან შეხვედრა კონკრეტული შედეგით არ დასრულებულა, აშშ-ა დელეგაციის წევრმა, უბრალოდ, განაცხადა, რომ შეხვედრა „სასარგებლო" იყო. ირანი და ბრიტანელები კი შეთანხმდნენ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე დროებითი რწმუნებულების დონეზე. ბრიტანეთმა თეირანში თავისი საელჩო 2011 წლის ნოემბერში დახურა, დიპლომატიურ წარმომადგენლობაზე სტუდენტების თავდასხმის შემდეგ. მათ მოგვიანებით ირანმაც მიბაძა.

საერთაშორისო თანამეგობრობას ისრაელი და საუდის არაბეთი დაჟინებით სთხოვენ, ირანის წინაღმდეგ სანქციები არ გააუქმონ, რათა ურანის გამდიდრების პროცესის შეწყვეტას მიაღწიონ. ისრაელი აცხადებს, რომ მშვიდობიან ბირთვულ პროგრამას არც ურანის გამდიდრება სჭირდება და არც პლუტონიუმის წარმოება. ეს მხოლოდ ბირთვული იარაღის შესაქმნელად არის საჭირო.

ირანსა და „ექვსეულს" შორის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი ალბათ ნოემბერში გაიმართება.

12 არც ისე განრისხებული კონკურსანტი

პირველი გვერდიდან

მარიამ ბექაური

წელს კონკურსს მხოლოდ ერთი გამარჯვებული არ ეყოლება, რის შესახებაც ქვემოთ მოგითხრობთ, მანამდე კი წლევანდელ კონკურსანტებს გაგაცნობთ.

წელს „შემოდგომის ლეგენდას“ ყველაზე დიდი მოსავალი აქვს - ფინალში 12 კონკურსანტი გავიდა, შიდა შესარჩევ ტურში თბილისში მოქმედი პრაქტიკულად ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები მონაწილეობდნენ, თუმცა დუჟინში მხოლოდ თბილისისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები მოხვდნენ. მათი ჩამონათვალი ასეთია: ბექა ადამაშვილი, თორნიკე ბაქაქური, მარიამ ბექაური, ანი ლაზვიაშვილი, თეონა ლიპარტელიანი, ნინო მოდებაძე, თამარ ქამუშაძე, ანა ყიასაშვილი, დავით ცარიელაშვილი, თედო ცხვედიანი, რატი წეროძე და ოთარ ჭულუხაძე.

ამათგან სამს - რატი წეროძეს, ანი ლაზვიაშვილსა და მარიამ ბექაურს „შემოდგომის ლეგენდაში“ მონაწილეობის გამოცდილება უკვე აქვთ. მარიამ ბექაური კი ყველაზე გამოცდილ კონკურსანტად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან, გარდა იმისა, რომ ეს მისი მესამე „შემოდგომის ლეგენდაა“, კრებულიც აქვს გამოშვებული („ელექტროთაობა“) და წლევანდელი „საბას“ დებიუტის ნომინაციაშიც მოხვდა.

მარიამ ბექაური: „მიუხედავად იმისა, რომ სადებიუტო კრებულით „საბას“ ნომინანტიც ვიყავი, ამ სტუდენტურ კონკურსს მაინც ვერ ვღალატობ, რადგან ძალიან კარგად ორგანიზებული, სწორად დაგეგმილი და სასიამოვნო ღონისძიებაა. ასე იყო პირველივე წლიდან და ვიცი, ამჯერადაც წინ საუკეთესო დღეები გველის. ეს კონკურსი იმდენად მიყვარს, რომ თავად განსაჯეთ - შიდა შესარჩევ კონკურსში გაგზავნილ მოთხრობას არსად ვაქვეყნებდი და სპეციალურად „შემოდგომის ლეგენდისთვის“ ვინახავდი. წინა კონკურსებში გარკვეულ წარმატებას მივაღწიე - გავხდი თბილისის მერიისა და ჟიურის სიმპათია, ამჯერად კი მეტის იმედი მაქვს, რადგან უფრო გამოცდილი ვარ. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა თემა მოვა, თუმცა თემა არასდროს შეიძლება ცუდი იყოს.“

კონკურსანტების რაოდენობის გარდა „შემოდგომის ლეგენდას“ წელს კიდევ ერთი სიახლე გააჩნია. კონკურსის სპონსორ „ჯეოსელის“ მიერ შექმნილი ონლაინ აპლიკაციით კონკურსში ჩაბმა ნებისმიერ მსურველს შეუძლია (მათაც, ვინც სტუდენტი არ გახლავთ). ამრიგად, როგორც კი ორგანიზატორები საკონკურსო თემას დაასახელებენ, ამის შესახებ ყველა გაიგებს, მათ შორის ისინიც, ვინც თემას იმდენად კარგად გაშლიან, რომ ათეულში გასვლისა და ცალკე კრებულში მოხვედრის შანსსაც მოიპოვებენ (კონკურის ეს დეტალი ჯერ კიდევ ზუსტდება).

დაზუსტებული და გადამოწმებულია ჟიურის შემადგენლობა: თეონა დოლენჯაშვილი, მაკა ლდოკონენი, გიორგი კეკელიძე, დათო ტურაშვილი, ეკა ტოგონიძე და დათო გორგილაძე. ექვსეულში ყველაზე საინტერესო ეს უკანასკნელი გახლავთ, რადგან დათო შარშანდელი კონკურსის გამარჯვებულია, რითიც, „შემოდგომის ლეგენდის“ ერთ-ერთი წესის თანახმად, მომდევნო წლის კონკურსის ჟიურის წევრობის უფლება მოიპოვა. მარიამ ბექურის მსგავსად „შემოდგომის ლეგენაში“ მონაწილეობის გამოცდილება დათო გორგილაძესაც აქვს - სამი კონკურსი და ერთი პირველი ადგილი მოთხრობისთვის „იანინა“. ამრიგად დათოს მხრიდან მიღებული რჩევა ახალბედა კონკურსანტებს ნამდვილად გამოადგენათ: „მოთხრობის თემას ან სათაურს წინა საღამოს გაიგებთ, მაგრამ მთელ ღამეს იდეის ძიებაში ნუ გაათენებთ. ჯობს, კარგად გამოიძინოთ და გონება დაასვენოთ. თან, როგორც წესი, პირველივე იდეა ყველაზე მეტად ამართლებს. არ დაგავიწყდეთ, რომ ჟიურის წევრები ნაწერებს აფასებენ და არა ადამიანებს, ამიტომ, პიროვნული თვისებებით მათი მოხიბვლა არ ღირს. როცა კონკურსის წამზომი ჩაირთვება, მაშინვე წერას ნუ დაიწყებთ. დამშვიდდით, პირველი წინადადება კარგად მოიფიქრეთ, დაივიწყეთ, რომ დრო გადის, რამდენჯერმე შეისვენეთ, გადათეთრებისას ნუ იჩქარებთ. და არ დაგავიწყდეთ - ფინალი ყველაზე მთავარია!“

თსუ-ს პროექტი „შემოდგომის ლეგენდა“ პირველად 2009 წელს გაიმართა და პირველი ორი წლის განმავლობაში მას მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ატარებდნენ, შემდეგ კონკურსი სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებშიც გავრცელდა, ამჯერად კი კერძო უმაღლეს სასწავლებლებსაც მოიცავს. კონკურსის ორგანიზატორებს მისი მასშტაბის გაზრდისა და სხვა ქალაქების უნივერსიტეტების ჩართვაც აქვთ განზრახული, მაგრამ ჯერჯერობით კონკურსი თბილისში რჩება.

თბილისში რჩება, თუმცა მას კახეთი მასპინძლობს: იყალთოს აკადემია, ყვარლისა და ლოპოტას ტბის კომპლექსები. წელს კი 12 დამწყებ მწერალს წინანდლის ჭავჭავაძეების სახლმუზეუმი უმასპინძლებს. ჟიური ნაწარმოებებს ადგილზევე წაიკითხავს და შეაფასებს, გამარჯვებულებს კი ნოემბერში დაჯილდოებენ.

პატარა მუსიკოსები ფრანკფურტში

მცხეთის, გორის, ქუთაისის, საჩხერისა და ფოთის რეგიონების სამუსიკო სკოლების მოსწავლეები ფრანკფურტში ათდღიანი სასწავლო პროგრამის წარმატებით გავლის შემდეგ საქართველოში დაბრუნდნენ და დღეს, 17 ოქტომბერს, 19 საათზე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში საჩვენებელ კონცერტს გამართავენ.

ღონისძიებას დაესწრება კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ - გრუზინსკი, მინისტრის მრჩეველი გიორგი გეგეჭკორი, ქართულ-გერმანული მუსიკალური ასოციაციის თავმჯდომარე ნინო ყამბეგაშვილი და მოწვეული სტუმრები რეგიონის სამუსიკო სკოლებიდან.

მოსწავლეები ფრანკფურტის მუსიკალურ სკოლაში „ოქროს კლავიში“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს „რეგიონების სამუსიკო სკოლების მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში ქართულ-გერმანული მუსიკალური ასოციაციის მიწვევით იმყოფებოდნენ. სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, ქართველ ბავშვებს ყოველდღიურად უტარდებოდათ გერმანული ენის გაკვეთილები; ასევე ესწრებოდნენ გერმანელი მუსიკოსების მიერ ჩატარებულ თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს კლასიკურ მუსიკასა და ვოკალში.

სასწავლო კურსის წარმატებით გავლის შემდეგ ქართველმა ბავშვებმა ფრანკფურტში, მუსიკალური სკოლის საკონცერტო დარბაზში საჩვენებელი კონცერტი გამართეს და დიპლომებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

პროექტი განხორციელდა ქართულ-გერმანული მუსიკალური ასოციაციის დაფინანსებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და გორის, მცხეთის, ქუთაისისა და ფოთის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით. 24 საათი

«რიგოლეტო» კონსერვატორიაში

დღეს, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 19 საათზე გვიწვევს კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სადაც საკონცერტო ვერსიით შესრულდება ჯუზეპე ვერდის ოპერა «რიგოლეტო».

ოპერის თეატრის გუნდს და სიმფონიურ ორკესტრს ზაზა კალმახელიძე უდირიჟორებს. მთავარ პარტიებს თეიმურაზ გუგუშვილი, სულხან გველესიანი, მარიკა მაჩიტიძე, კახაბერ თეთვაძე, თეა დემურიშვილი, ელენე ჯანჯალია, გია ასათიანი, ვახტანგ ჯაშიაშვილი, იური ასლანიშვილი, ტარიელ ჭიჭინაძე, ეკა ჯეჯელავა შეასრულებენ. **24 საათი**

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130022553

შემსყიდველი	ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება
ტენდერის გამოცხადების თარიღი	16.10.2013 11:59
წინადადებების მიღება იწყება	18.10.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	22.10.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	6050 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45300000-სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45333200-გაზის მრიცხველების დაყენება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	შესყიდვის რაოდენობა და მოცულობა იხ. სატენდერო დოკუმენტაციაში (დანართი 1)
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 19 ნოემბრამდე.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	80 ლარი
გარანტიის ოდენობა	61 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130022556

შემსყიდველი	შპს ,,ბათუმის წყალი"
ტენდერის გამოცხადების თარიღი	16.10.2013 12:35
წინადადებების მიღება იწყება	01.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	06.11.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	11900 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	44600000-ავზები, რეზერვუარები და კონტეინერები; ცენტრალური გათბობის რადიატორები და ბოილერები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	44621110-ცენტრალური გათბობის რადიატორები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაციაში;
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების დადებიდან 10 კალენდარული დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	100 ლარი
გარანტიის ოდენობა	119 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130022557

შემსყიდველი	შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	16.10.2013 12:36
წინადადებების მიღება იწყება	01.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	06.11.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	8750 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	18900000-საბარგო ნივთები, სასარაჯო ნაკეთობები, ტომრები და ჩანთები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	18920000-საბარგო ჩანთები, 18931100-ზურგჩანთები, 18936000-ნაჭრის ჩანთები, 18938000-ორმაგი ჩანთები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაციაში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	100 ლარი
გარანტიის ოდენობა	88 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130022558

შემსყიდველი	შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	16.10.2013 12:42
წინადადებების მიღება იწყება	18.10.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	22.10.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	10800 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	39700000-საოჯახო ტექნიკა
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	39711360-ღუმელები, 39711361-ელექტროღუმელები, 39711420-კომფორები, 39711430-ელექტროქურები, 39711440-გამაცხელებლები . . .
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაციაში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	100 ლარი
გარანტიის ოდენობა	108 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130022559

შემსყიდველი	სსს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	16.10.2013 12:44
წინადადებების მიღება იწყება	21.10.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	23.10.2013 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	847 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	39200000-ავეჯის აქსესუარები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	39224300-ცოცხები და ჯაგრისები და სხვა საოჯახო საწმენდი საშუალებები , 39254120-კედლის საათები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში.
მოწოდების ვადა	სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღე.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	10 ლარი
გარანტიის ოდენობა	8 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130022560

შემსყიდველი	საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	16.10.2013 12:51
წინადადებების მიღება იწყება	18.10.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	22.10.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	5600 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	15800000-სხვადასხვა საკვები პროდუქტი
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	15800000-სხვადასხვა საკვები პროდუქტი
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ.სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნის შესაბამისად
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	56 ლარი
გარანტიის ოდენობა	56 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130022561

შემსყიდველი	თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	16.10.2013 13:14
წინადადებების მიღება იწყება	01.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	06.11.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	130000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45230000-სამშენებლო სამუშაოები მილსადენების, საკომუნიკაციო და ელექტრახაზების, გზატკეცილების, გზების, აეროდრომებისა და სარკინიგზო ხაზებისთვის; ბეტონის ბრტყელი კონსტრუქციებისთვის, 45233000-გზატკეცილების, გზების მშენებლობა, საძირკვლის მომზადებისა და ზედა ფენის გადაგების სამუშაოები, 45233120-გზის მშენებლობა, 45233200-გზების ან ფართან დაკავშირებული სხვადასხვა სახის სამუშაოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	1300 ლარი
გარანტიის ოდენობა	1300 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130022563

შემსყიდველი	გარდაბნის მუნიციპალიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	16.10.2013 13:18
წინადადებების მიღება იწყება	01.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	06.11.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	23040 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები, 45232460-საკანალიზაციო სამუშაოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	300 ლარი
გარანტიის ოდენობა	230 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

17-წლამდელთა 18-კაციანი განაცხადი - დღეს შესარჩევი იწყება

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა დასკვნითი საწვრთნელი შეკრება ზუგდიდში გაიარა, თბილისში კი ორი დღის წინათ დაბრუნდა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შეარჩია ის 18 ფეხბურთელი, რომლებიც საკვალიფიკაციო ეტაპზე ქვეყნის ღირსებას დაიცავენ და ელიტრაუნდში გასასვლელად იბრძოლებენ.

გუშინ, საქართველოს ნაკრებმა მატჩისწინა ოფიციალური ვარჯიში «მიხეილ მესხის“ სტადიონზე ჩაატარა. მთავარი მწვრთნელის განკარგულებაში მყოფი ყველა მოთამაშე ჯანმრთელადაა. მოუთმენლად ელიან დღევანდელ შეხვედრას სან მარინოს ნაკრებთან.

19 ოქტომბერს ქართველი 17-წლამდელების ურთიერთობის გარკვევა მოუწევთ ფარერელ თანატოლებთან, 22 ოქტომბერს კი შესარჩევის ბოლო შეხვედრას ჰოლანდიელ 17-წლამდელებთან ჩაატარებენ.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები:

მეკარეები: ოთო გოშაძე, ბექა ქურდაძე (ორივე «საბურთალო“)

მცველები: ნიკოლოზ კევლიშვილი («ლოკომოტივი“, თბილისი), ვასილ კაციტაძე («დინამო“ თბილისი), რატი კაკიაშვილი, ცოტნე ნადარაია (ორივე «საბურთალო“), გიორგი ქობულაძე (35-ე სკოლა)

ნახევარმცველები: ირაკლი კომახიძე, შერმადინ ართმელაძე («შუქურა“, ქობულეთი), ნიკა ქორიძე («რეჯანა“, იტალია), ვლადიმერ მამუჩაშვილი, ირაკლი ბიძინაშვილი (ორივე «საბურთალო“), ნიკა ლაშხია («ზესტაფონი“), გიორგი კიკნაძე («ლოკომოტივი“, თბილისი)

თავდამსხმელები: გიორგი ბერიძე («დილა 2“, გორი), გიორგი ჯობავა («ოსერი“, საფრანგეთი), ბექა მიქელთაძე («ზესტაფონი“), საბა ცინცქილაძე («შუქურა“, ქობულეთი)

17 ოქტომბერი

ჰოლანდია - ფარერები („დინამო არენა“. 14:00 საათი)

საქართველო - სან მარინო („მიხეილ მესხის“ სტადიონი. 16:00 საათი)

19 ოქტომბერი

სან მარინო - ჰოლანდია (გორი. «თენგიზ ბურჯანაძე“. 14:00 საათი)

საქართველო - ფარერები („მიხეილ მესხის“ სტადიონი. 16:00 საათი)

22 ოქტომბერი

ჰოლანდია - საქართველო („მიხეილ მესხის“ სტადიონი. 16:00 საათი)

ფარერები - სან მარინო (გორი. „თენგიზ ბურჯანაძე“. 14:00 საათი)

შესარჩევი ჯგუფიდან ელიტრაუნდში ორი გუნდი გადის.

შერმადინისა და სანიკიძის „სარაგოსა“ ულებ-ის თასზეც იგებს

ქართველების «სარაგოსამ“ წარმატებით დაიწყო ევროთასის გათამაშება. ევროლიგის შემდეგ რანგით მეორე ევროტურნირი ვიქტორ სანიკიძის და გიორგი შერმადინის გუნდმა ბელგიურ «მონსთან“ საშინაო მატჩით დაიწყო. სარაგოსელებმა დებიუტში 2:11 ჩამორჩენის შემდეგ თამაში დაალაგეს, მეტოქე მალევე გატეხეს და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს - 73:56.

ესპანური გუნდის გამარჯვებაში მნისვნელოვანი წილი დაიდეს ქართველებმა. გიორგი შერმადინი სულაც მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა - მან ჯონათან ტაბუსთან ერთად მატჩში ყველაზე მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი (20) დაიმსახურა. შერმადინი გახლდათ ერთადერთი, რომელმაც სარაგოსელთა შორის ორმაგი დუბლი შეასრულა.

შერმადინი, ისევე როგორც სანიკიძე, სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 25:34 წუთში 10 ქულა, 10 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. ქართველმა ცენტრმა 7-დან 3 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

ესპანეთის პირველობაზე ჩატარებული პირველი მატჩის დარად, სანიკიძემ თანაგუნდელთაგან ამჯერადაც ყველაზე მეტი ითამაშა. მოედანზე გატარებულ 27 წუთში მან 8 ქულა, 7 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. სანიკიძემ 2-დან 1 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. ვიქტორის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 14 შეადგინა, რაც შერმადინისა და ტაბუს შემდეგ «სარაგოსაში“ მესამე შედეგი გახლდათ.

ევროთასის D ჯგუფში «სარაგოსა“ «მონსთან“, ფრანგულ «გრაველინთან“, გერმანულ «ალბასთან“, იტალიურ «რომთან' და გერმანულ «ტელეკომთან“ ერთადაა. მორიგ შეხვედრას სარაგოსელები ბერლინში, 23 ოქტომბერს, გერმანულ «ალბასთან“ ჩაატარებენ.

აქვე ესპანეთის ჩემპიონატის პირველ ტურში «ბილბაო ბასკეტის» თამაშის გამოხმაურებაზე გავაგრძელებთ. თუ წინა ნომერში ვწერდით, რომ ესპანურმა „მარკამ“ ქვეყნის უმაღლესი საკალათბურთო ჩემპიონატის - ACB ლიგის (იგივე ენდესა ლიგის) პირველი ტურის ათ საუკეთესო ვარსკვლავთა შორის «სარაგოსას“ ახალწვეულები გიორგი შერმადინი და ვიქტორ სანიკიძე დაასახელაო (შერმადინი სიაში მეორე იყო, სანიკიძე - მერვე), ამჯერად უშუალოდ შერმადინის გარჯას Eurobasket.com აფასებს - პოპულარულმა საკალათბურთო ვებ-გვერდმა ქართველ ცენტრი პირველი ტურის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ (MVP) აღიარა.

«ქართველ გიორგი შერმადინს ესპანეთის პირველობის საწყის ტურში ჩინებული საღამო ჰქონდა და საუკეთესოს წოდებაც სამართლიანად დაიმსახურა. 24 წლის კალათბურთელმა 20 ქულას 7 მოხსნა და 2 პასი მიუმატა და «ბილბაოს» დამარცხებაში (86:77) ლომის წილი დაიდო».

Eurobasket.com-მა შერმადინის კვალად, საუკეთესოთა ხუთეული ასე დააკომპლექტა: რასმუს ლარსენი («მანრესა») - 21 ქ. 13 მ; ალექს მუმბრუ («ბილბაო») - 18 ქ. 8 მ. 6 პ; აუგუსტო სესარ ლიმა («მურსია») - 17 ქ. 13 მ; ბლაგოტა სეკულიჩი («კანარიასი») - 23 ქ. 4 მ. 2 პ.

...შერმადინისა და სანიკიძის «სარაგოსას», ესპანეთის ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩი 20 ოქტომბერს ტენერიფეს «კანარიასის» წინააღმდეგ უწევს.

გიორგი შერმადინის სარგებლიანობაზე გავაგრძელებთ, რომელსაც ეუროსასკეტიც გამოეხმაურა.

პაატა გურასპაული თბილისის 16 წლამდელთა ჩემპიონატზე

10 ოქტომბერს საკალათბურთო აკადემიისა და 53-ე საჯარო სკოლის დარბაზში დაიწყო თბილისის 16 წლამდელთა ჩემპიონატი კალათბურთში. ტურნირს თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი კალათბურთის ფედერაციასთან ერთად ატარებს. ტურნირის მიზანი თბილისის ჩემპიონისა და ქვეყნის პირველობისთვის ძლიერი, ბრძოლისუნარიანი გუნდების გამოვლენაა. ამ ტურნირმა უნდა დაასახელოს ის გუნდები (ჩემპიონი+10), რომლებიც საქართველოს ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას.

ტურნირში მონაწილეობს 21 გუნდი, რომლებიც 4 ჯგუფში არიან გადანაწილებული. შეიქმნა 3 ხუთგუნდიანი და 1 ექვსგუნდიანი ჯგუფი. თითო ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე გავა 2-2 საუკეთესო გუნდი. შემდეგი ფაზა მეოთხედფინალი იქნება. ფლეი ოფში გასული 8 გუნდი ავტომატურად გადავა საქართველოს ჩემპიონატზე. დარჩენილი ორი ადგილისთვის მესამე-მეოთხე ადგილებზე გასული გუნდები იბრძოლებენ.

ჯგუფური ეტაპი 17 ოქტომბერს დასრულდება და დაიწყება ფლეი ოფი.

ტურნირის მსვლელობის დროს ვესაუბრეთ თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის პრეზიდენტს, პაატა გურასპაულს.

პაატა გურასპაული: ტურნირი კარგად დაიწყო. გუნდები მზად არიან. ეტყობათ, რომ მწვრთნელებთან ერთად სათანადოდ მომზადებულები შედიან სეზონში. ყველა მწვრთნელმა უკეთ იცის თავისი გუნდის მომზადების სპეციფიკა და ეს მათი საქმეა. მთავარია ტურნირის მსვლელობისას მოთამაშეებმა ენერგიის აღდგენა მოასწრონ. ეს შედის როგორც გუნდების, ისე ჩვენს ინტერესებში.

- რომელიმე კონკრეტულ გუნდს ან მოთამაშეს ხომ არ გამოარჩევთ?

- ვერა. ჯერ ერთი, ადრეა ვინმეს გამორჩევა. მეორეც, ეს ალბათ უფრო ჟურნალისტებმა ან სხვებმა - მწვრთნელებმა უნდა გააკეთონ. ჩემთვის, თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის ყველა წევრისთვის, უფრო მნიშვნელოვანია ტურნირის საერთო დონე, ვიდრე რომელიმე კონკრეტული მოთამაშის ან გუნდის გამორჩევა.

- მსაჯები მზად არიან ტურნირისთვის?

- რა თქმა უნდა. ბოლო წლებში სამსაჯო კომიტეტში პოზიტიური სვლები გაკეთდა და საქართველოს კალათბურთის ფედერაცია მეთოდურად აუმჯობესებს ყველა საორგანიზაციო კომპონენტს, მათ შორის, მსაჯობას. თბილისის ჩემპიონატს ფედერაციასთან ერთად ვატარებთ და თუ ვინმეს რამე შენიშვნა ექნება, მზად ვართ, მოვისმინოთ და გავითვალისწინოთ. ეს ყველასთვის უკეთესი იქნება.

- ტურნირის მსვლელობის დროს კიდევ ვისაუბროთ. წინაღმდეგი ხომ არ ხართ?

- ყოველთვის მზად ვარ სასაუბროდ. ამასობაში მეტი თამაში გაიმართება და სასაუბროც მეტი იქნება. ფედერაციასთან გვაქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და ერთად ბევრის გაკეთებას ვაპირებთ. ახალი თაობა უფრო მეტს უნდა იღებდეს და მეტ კომფორტში იღებდეს საკალათბურთო ერუდიციას.

კალათბურთის ფედერაცია ქუთაისში

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი და ფედერაციის გამგეობა ქუთაისში დასავლეთ საქართველოს საკალათბურთო წრეების წარმომადგენლებს შეხვდა. ეს გახლდათ რიგით მესამე შეხვედრა იმ გრაფიკიდან, რომელიც ფედერაციამ 1 ოქტომბრის გამგეობის სხდომაზე დაგეგმა. გამგეობის წარმომადგენლები 4 ოქტომბერს ვეტერან კალათბურთელებს შეხვდნენ, ხოლო 11 ოქტომბერს - მსაჯებს, კომისრებს და მატჩების მომსახურე მდივნებს.

შეხვედრას დაახლოები 50 ადამიანი დაესწრო დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან - ფოთიდან, ზესტაფონიდან, ბათუმიდან, საჩხერიდან. დამსწრეთა უმრავლესობა ქუთაისის საკალათბურთო საზოგადოებას წამოადგენდა, რომლებთანაც გამგეობის წევრებმა არაერთი საკითხი განიხილეს. რეგიონის წარმომადგენლების მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს გამგეობის წევრები თავის სხდომაზე, გადაწყვეტილებების მიღებისას გაითვალისწინებენ.

კალათბურთის ფედერაციაში ოფიციალურად ჯერჯერობით არც ერთი პრეზიდენტობის კანდიდატი არ დაფიქსირებულა, არჩევნებში მონაწილეობის სურვილი კი ჯერჯერობით 4-მა ადამიანმა გამოთქვა - ვეტერანმა კალათბურთელმა ვლადიმერ ბოისამ, აჭარის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა შენგელიამ, ვეტერანმა კალათბურთელმა გიორგი მარკოიშვილმა და „კალათბურთელთა კავშირის“ პრეზიდენტმა მიხეილ ახვლედიანმა. კალათბურთის ფედერაციის მოქმედ პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანს ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი, მიიღებს თუ არა მონაწილეობას მომავალ არჩევნებში, რომელიც გამგეობის დადგენილებით, ამა წლის, არა უგვიანეს 14 დეკემბრამდე უნდა ჩატარდეს.

სადისციპლინო-ტექნიკური კომისიის გადაწყვეტილება

დუდუ დადიანის მემორიალზე - „ოლიმპისა“ და „არმიას“ შორის მატჩში მომხდარ ინციდენტზე კალათბურთის ფედერაციის დისციპლინარულმა კომიტეტმა იმსჯელა და შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო:

საკალათბურთო გუნდ „ოლიმპის“ მოთამაშე რიჩარდ მათიაშვილი, თანახმად დ. დადიანის მემორიალის დებულებისა, დისკვალიფიცირებულია ათი (10) თამაშით და მას დაეკისრა ფულადი ჯარიმა რვაასი (800) ლარის ოდენობით, ხოლო ამავე გუნდის მწვრთნელის თანაშემწე გიორგი მარხვაშვილი დისკვალიფიცირებულია ორი (2) თამაშით და დაჯარიმდა ორასი (200) ლარით.

დისციპლინარულების მიერ გამოტანილი დისკვალიფიკაცია სუპერლიგის მატჩებზე გავრცელდება, რომელიც 19 ოქტომბერს იწყება.

თბილისის 16-წლამდელთა ჩემპიონატი: თოიძის და ჩერქეზიშვილის გუნდი იგებს

გრძელდება თბილისის 16-წლამდელთა ჩემპიონატი, რომელშიც დომინირებს პირველი ექსპერიმენტალური სკოლის გუნდი «ჰიუნდაი». კლუბი, რომელსაც ლაშა თოიძე და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი წვრთნიან, ყველა თამაშს იოლად იგებს. ბოლო ტესტში «ჰიუნდაიმ» 110:45 მოიგო 163-ე სკოლის გუნდთან.

«ვესტამ» გაიარა «იმედი» 69:57 და «კნაუფ-აკადემიამ» მშვიდად მოუგო «ტიტებს». ჯგუფური ეტაპის თამაშები 17 ოქტომბერს დასრულდება. დაიწყება მეოთხედფინალები და ახალი ფაზა უფრო საინტერესო იქნება.

შსს 2 - თსსუ	**55:47**
163-ე სკოლა - 1-ელი ექსპ.სკოლა	**45:110**
კნაუფ-აკადემია - ტიტები	**85:31**
იმედი - ვესტა	**57:69**


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
kikala studio
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
MAX
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 საათი
allMovies.ge
Pink